


1959



— კოსმოსში ხაბტთა თანამგზავრებისა და რაკეტების პარადი მივიღე. მაგრამ დედამაწაზე მოხვლა ერთი წუთითაც არ დამიგვიანია.



ნან. ჯ. ლომუაძე



—დირექტორი მოდის, დირექტორი! ორი შემწვარი ინდაური კიდევ დაუმატე შავიღის თავში!

როგორ გავანყოთ საახალწლო მახვილ და როგორ გავასტაროთ ღრო

კონსულტაცია

ისევე, როგორც ტრამვაის არ შეუძლია ლიანდაგებიდან გადასვლა და ისე მოძრაობა, ასევე შეუძლებელია გარკვეული და დაკანონებული ტრადიციების გარეშე ქართული საახალწლო სუფრის გაშლა და დროსტარება.

უნდა გვახსოვდეს, რომ საახალწლო სუფრის აუცილებელი ატრიბუტებია საცივი, გოზინაყი, შემწვარი გოჭი და ვინეგრეტი, რომ არაფერი ვთქვათ ღვინოზე, პურზე, თამადაზე და სხვა წვრილმანზე.

ყოველივე ეს ყოვლად შეუძლებელია გაკეთდეს წინასწარი მზადების გარეშე. საქმე ისაა, რომ საახალწლოდ ყველა ემზადება და თადარიგის დაჭერა კარგი სუფრის საწინდარია.

უპირველეს ყოვლისა, ახალ წელს უნდა შეხვდეთ სუფთად, ამიტომ ტანი უნდა დაიბანოთ ერთი თვით ადრე, რადგან ახალი წლის წინაღობებში აბანოები გადატვირთულია. ასევე ადრე უნდა მოიმარაგოთ ბორჯომი, ხოლო ღვინოს, რაც უფრო ნაკლებ წყალგარეულს იშოვით, მით უკეთესი.

გახსოვდეთ, საექიმო შემოწმების ბეჭედი მოაცილეთ გოჭს და ისე შეწვით. ოჯახში იქონიეთ ნარდი, ბანქო, ჭადრაკი და სხვა სპორტული ინვენტარი, ქეიფამდე სტუმრების გასართობად.

სუფრას შემოუსხედით ოცდასამ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე იმ ანგარიშით, რომ პირველ სადღეგრძელოს დაამთავრებთ ზუსტად ოცდაოთხ საათზე და ახალ წელს ღვინის სმით შეხვდებით.

პირველი სადღეგრძელო უნდა დაილიოს ახალი წლის დადგომისა. ამის შემდეგ უნდა დაიწყოთ «მრავალქამიერი», იცით თუ არა სიმღერა, ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

მეორე სადღეგრძელო უნდა შეისვას თქვენი შეხვედრისა, აზრი უნდა გატარდეს, რომ თქვენ მრავალჯერ შეკრებილიყავით მხიარულად, ამ სადღეგრძელოში შეიძლება მეტად ორიგინალურად იხუმროთ «ასი წლის შემდეგ კიდევ გყოფილიყავით თქვენი თამადა»-თქო. ამას უნდა მოყვეს სიმღერა «ჩვენ ვინა გვყავს ჩვენი ფასი—დალიე»

მესამე სადღეგრძელო უნდა ითქვას იმ ოჯახისა, სადაც თქვენ ატარებთ დროს, მოკლე შინაარსი შემდეგი უნდა იყოს, ოჯახს უსურვოთ ზედნიერება, სიხარული და გამრავლება. აქ შეიძლება მოსწრებული ხუმრობა «გამრავლით, ვითარცა იაკობ», ამის შემდეგ უნდა იმღეროთ «ჩვენი მასპინძლის სასახლეზე».

მეოთხე სადღეგრძელო უნდა შეისვას მშობლების პატივსაცემად. აზრი უნდა გატარდეს შემდეგი, რომ მშობლების პატივისცემას შეილება ვერასდროს ვერ გადაიხდიან, თუნდაც ტაფამწვარი მოიწვან ხელის გულზე, რაც შეეხება. სიმღერას, უნდა შესრულდეს «დედი, დედი, ჩემო დედი».

მეხუთე სადღეგრძელო უნდა დაილიოს საერთოდ ოჯახების, ვისაც არ ჰყავს, უნდა უსურვოთ, აქაც შეიძლება იხუმროთ, ძალიან მახვილად «უღელში თავი გაგეყოთ»-თქო, ხოლო ვისაც ჰყავს უღდეგრძელოთ, განსაკუთრებით უნდა გამოყოთ მეორე ნახევრები, უნდა აღნიშნოთ, რომ ცოლი ეს პირველი მეგობარია, რის შემდეგაც უნდა შესრულდეს სიმღერა «სულო ბოროტო».

დაამთავრებთ თუ არა ზოგად სადღეგრძელოებს, უნდა გადახვიდეთ კონკრეტულზე, არამცდარამც არ დაიწყოთ სადღეგრძელოები თანამდებობების მიხედვით, რადგან ამას შეუძლია იდუმალი მტრები შეგმატოთ, საახალწლოდ გამოაცხადეთ, რომ თქვენ სვამთ ხნოვანებისდა მიხედვით, არამცდარამც ეს წესი არ გამოიყენოთ ქალების მიმართაც, რადგან ამას შეუძლია აშკარა მტერი შეგძინოთ, რადგან როგორც საყოველთაოდ და ცნობილი, ქალებს ოცდაათი წლის შემდეგ ძალიან იშვიათად ემატებათ წლები.

დაამთავრებთ რა ყველა სადღეგრძელოს, სხვის ოჯახში თუ იმყოფებით, მაღლობა გადაუხადეთ მასპინძელს და წადით სახლში, მხოლოდ აუცილებლად ფეხით, რადგან ახალ წელს, მანქანაშიც ბენზინის ნაცვლად ღვინო ასხია.

გ. კატარძი

სახალხო მიღოცვები

მხატვრებს

მრავალმა წელმა ახალმა მოგიკაკუნოთ კარებზე, რომ მადე თქვენი მხატვრობა გამოგეფინოთ მთვარეზე.

მოქანდაკეებს

თქვენ, რასაც აამეტყველებთ არასდროს წაიღეკება, გურამიშვილის ძეგლს ვეძებთ, ხომ არ „მოგვტაცეს“ ღვეკებმა.

მწერლებს

თქვენ სულის ინჟინრები ხართ, ხართ სიამაყე ქართული, თქვენი „ინტრიგაც“ კარგია, რომანში დროზე ჩართული.

კომპოზიტორებს

ქართულ ოპერებს რომ არ წერთ, დღეს თემა განა ცოტაა?! თუ ამ საყვედურს მიიღებთ, ესეც ერთგვარი „ნოტაა“.

ღრამატურებს

ისეთი ძეგლი შეგექმნათ, რომ დრომ და ჟამმა ვერ სძლიოს, თუ სეზონს ვერ დაგვიხურავს, ფარდის დახურვა ეცლიოს.

სეზონი



ქართული
ბიბლიოთეკა

ქვალნი

რომ ეყიდა ხორცი, გააგზავნეს რძალი, აეწონათ რბილი, გაეხვიათ ძვალი.

მარელისური

ჯიხვის რქასავით გრეხილნო, სკამებო, მარელისურნო, ჩემს სახლში შემობრძანებაც იქნებ როგორმე ისურვოთ.

ზ. შირაზადიშვილი

იმიერული მოგონებება და თავმდაბალი სტუმარი

ღიასახლისი ლობიოთი გაუშასპინძლდა სტუმრებს და წამდაუწუმ ბოდიშს იხდიდა, რომ ასე უცბათ ვარიების შეწვა ვერ მოასწრო და საკადრისი პატივი ვერ სცა მათ.

— ვიცი, ბატონო, თქვენი მუშაობის ამბავი, ისე ხართ დატვირთული, ერთი წუთი დრო არ გაქვთ, თორემ ქათმებს როგორ დავიშურებ ასეთი ძვირფასი ხალხისათვისო, — მერამდენედმე იმეორებდა მასპინძელი.

ერთ-ერთმა სტუმარმა რამდენიმე ჩაის ჭიქა ღვინო ზედიზედ გამოსცალა, შემდეგ ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა და გულუხვ მასპინძელს აუჩქარებლად უპასუხა:

— სხვებზე ვერაფერს მოგახსენებთ, ქალბატონო, მე კი ბავშვობიდან ისეთი სუსტი ხასიათი მაქვს, რომ მასპინძლებს ვერასოდეს უარს ვერ ვეუბნები. ამიტომ გავრდილი ქათმების შეწვამდე კი არა, ახლა რომ კვერცხები გამოიტანოთ, საბუდარში ჩააწყოთ, ზედ კრუხი დააჯინოთ, მე იქიდან წიწილების გამოჩეკვასა და გავრდასაც მოვუცდი. თუკი ნამდვილად გულით გსურთ, რომ ჩვენ დაგვიკლათ.



ნახ. ა. კანდელიასა

ს. ქარბო
59

— რა კარგი გოჭები გყოლიათ ფერმაში!
— ბატონო, სხვა რევიზორებსაც ისე მოეწონათ, რომ რამდენიმე ხული სახლშიც წაიყვანეს საახალწლოდ.

ავაუთვილი, ჩვენი მადნარი,
ვაზდაზმული, ვაზდაზმული,
ვაგებენ დენით, ვაგებენ დენით,
მრავალ ახალ წელს, ჩვენი მამული

სახეს

მანქანები

მსახურისთვის მუდამ
დასრულებული, მსახურისთვის
დასრულებული, მსახურისთვის
დასრულებული, მსახურისთვის

ეროვნული
გიგლიორთქა



ბ. ბაბუშინს. ს. ვილაინს,
ბ. ელნის
შენ მწერლების გამარჯვება
დღეს ახალ წელს უბრალოდ,
ქაბში კიდევ მრავალ დღეებს
და ჩოშანებს ვეზაღებენ,
შესხმა თქვა კარგია,
სერგოც ახიბს ვარგაო,
რუსთაველის ხაზობოლოდან
ღმისად რავეთ თუ შიჩიად,
ჩანს გაჭრულებს ინდოეთში
გამარულია მუშაჩი.



ჩ. დალიძის
ლაუკარი, სხვის ფაღანს ვადა ვადა,
ხოლო ჩვენი დიობას, ვახსრუებს,
ხალისაზე ირი ბეჭით არ დაიბნ
და შენსავეთი ვაგარუებს.



მ. სხირტლაძის
საჩუქრით რომ შეგარე
ველა ციხე-ვალიდან
აღარ გვიო საქართველს
ზარ მხოლოდით უკლებს
გულიათაა შერკინება
ფეიდავლა თამაშებით
და სუველა სპარსულზე
გაკარი ლავაშებით.



დ. ანთაძის
კახულ თვინის აკანა
შენს სხვეთთან ერთად არწი,
თეატრული კულტურა
შენ სხალდენდ არწი.



მ. ტოტონიძის ნ. ბაჭყალიძის,
სამი დავა



ი. ჩხიკავაძის, დ. ვინუტაძის,
მისთვის სიტყვა თქვა ირაკლმა,
დედობა მისილი დროის,
წინა დღეა ჩინებზე,
არავის დაუწუნა,
ირაკლი არის მორც,
ვანა პატარა კახა,
შუბრი ხატავს დამხედა
ფასისზე დაბედა. ანა.

მეგობრული შარტი ვ. ფერხვალიძის

როგორც ცნობილი გახდა, დრამატურგი აბიდო კატაყეფია-შვილი ერთდროულად წერს სამ პიესას. რა თქმა უნდა, სამივეს დაამთავრებს, რა თქმა უნდა, სამივეს თეატრებში მიიტანს, რა თქმა უნდა, თეატრები მიიღებენ და რა თქმა უნდა; რომ დადგამენ. თეატრის ღირებულებითა და რეჟისორთა დასახმარებლად, რათა აქედანვე ღირსეულად შეაფასონ ხსენებული პიესები და ანგარიში გაუწიონ დრამატურგის გარდაილ მოთხოვნებზე, მოგვყავს ფრაგმენტები კატაყეფიაშვილის ქმნილებიდან.

გამოცდების გამო ვცდები

კომედია

შემოდინ ლექტორი და სტუდენტი.

ლექტორი — (ნიშნისმოგებით) შენი გვარი და სახელი?
სტუდენტი — (ნიშნისმიუგებლად) ოთარ პირველი, პატივცემულო ლექტორო!
ლექტორი — პეტრე პირველი რა იყო შენი?
სტუდენტი — (მშვიდად) არაფერი, პატივცემულო ლექტორო!
ლექტორი — ყოჩაღ, ვერ დაგაბნიე. ახლა მიპასუხე, ალექსანდრე მაკედონელს რა ქვიოდა?
სტუდენტი — ალბათ, სანდრიკა, ანდა...
ლექტ. — ყოჩაღ, ყოჩაღ, კიდევ ვის ერქვა ალექსანდრე?
სტუდ. — (ამაყად) ბაბუაჩემს!
ლექტ. — (დგება) კარგად დაფიქრდი!
სტუდ. — ბაბუაჩემს. ნამდვილად ერქვა, პატივცემულო...
ლექტ. — (ჯდება) პოეტ ჰავჭავაძეს რაღა ერქვა?
სტუდ. — ილია!
ლექტ. — არა, მეორეს!
სტუდ. — მეორეს? ერეკლე მეორე!
ლექტ. — მოიცა, მოიცა, შენ პირველი ხარ, თუ მეორე?
სტუდ. — გვარზე მეკითხებით?
ლექტ. — გვარზე, აბა კვიციზე?
(არ გადის)

ვერა, გოგა და სიყვარული დრამა

გოგა — გოგოვ!
ვერა. — რაა?
გოგა. — მე შენ მ...
ვერა. — რა თქვი, ბიჭო?

გოგა. — მე შენ მი...
ვერა. — არაფერი გამეგება.
გოგა. — მე შენ მიყ...
ვერა. — ბიჭო, პირდაპირ მითხარ, რაც გულში გიდევეს!
გოგა. — მე შენ მიყვ... ძალიან მიყვ... გაგიყვებით მიყვარ... თავდავიწყებით მიყვარხ... უსაზღვროდ მიყვარხა... (უეცრად გონს მოდის) არა, არა, არა! ბოლომდე არ ძალმიძს გაგანდო საიდუმლო ჩემი გულისა.
(გარბის)
ვერა. — ეჰ, რა უბედური ვარ, მეგონა, დღეს მაინც გაბედავ-და სანატრელი სიტყვის თქმას.

ჯერ დაიხოცნენ და მერე მოკვდნენ

ტრალედია

მოქმედი პირნი.

კატო — პიმენის პირველი ცოლი — მქსოველი-მეაბრეშუმე
ნატო — პიმენის მეორე ცოლი — საქსოვი საამქროს გამგე
ჟუტუ — პიმენის მესამე ცოლი — საქსოვი ფაბრიკის წუნმ-დებელი
ანდრო — კატოს მეორე ქმარი (პიმენს მისი მართებს 1800 მანეთი)
სანდრო — ნატოს მეორე ქმარი — პიმენის ყოფილი შოფერი
ბურდღუ — ჟუტუს მეორე ქმარი — პიმენის შოფრის ძმა მეორე მამიდან
ბიქტორი — მილიციის გამომძიებელი — კატოს მამა
(ერთხელ პიმენმა მანქანაში არ ჩაისვა)
ვიქტორი — პროკურორი — ნატოს მამა (ბავშვობაში პიმენმა ქვა ესროლა თავში, არ უნდოდა, მაგრამ შემთხვევა შემთხვევაა)
ლენტორი — ციხის უფროსი — ჟუტუს მამა (როცა პიმენი ციხის უფროსად მუშაობდა, ლენტორი მისი პატიმარი იყო)
პიმენი — დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი პერსონაჟი, პიესაში არ მონაწილეობს.

შენიშვნა: — ღირსეული პატივი დასდეთ და ჯეროვნად შეაფასეთ ჩვენი დრამატურგის ღვაწლი, თორემ მისი ბრალი აღარ იქნება, თუ კი მესამე ზარის შემდეგ და მესამე ზარის შემდეგაც დარბაზში არავინ შემოვა.
თეატრებო, იყავით, ფხიზლად!

ანონსა აფიშაური

ნან. დ. ერისთავისა



უბეჭტო ხუმრობა

ინგლისური იუმორი

მსახიობი ავად გახდა. იგი მუქი ფერის წამალს სვამდა. ერთ დღეს მსახურმა შეცდომით მელანი დააღვინა, როდესაც მან დაინახა რა ჩაიდინა, ტირილი მორთო:

- ბოდიში, სერ, წამლის მაგივრად მელანი დაგაღვინეთ!
- არაფერია! — თქვა მსახიობმა. — ახლა სამრობ ქალაქს გადავფლავებ.

ახალწვეული რომელსაც სურდა თავი დაედგინა სამხედრო სამსახურისათვის, სამედიცინო ინსპექტორში მიიყვანეს ექიმმა კითხვა:

- რას უჩივით?
- ახლომხედველი ვარ, სერ.
- რით დამიმტკიცებთ?
- ძალიან ადვილად. იმ ლურსმანს თუ ხედავთ კედელზე?
- ვხედავ.
- მე კი ვერა...

თარგმანი **გ. ბანტუკია**

კაცი თებერას ესწრებოდა. ის იჯდა ორი ქალის უკან. მათმა გაუთავებელმა ლაპარაკმა მოთმინებიდან გამოიყვანა. იგი გადაიხარა და ერთ-ერთ მათგანს მხარზე ხელი შეახო: — მაქატივო, ბატონო და არაფერი მესმის.

- არცაა საჭირო. ეს ჩვენი კერძო საუბარია. — მიახალა ქალმა.

ვილი — საშინლად მაწუხებს კბილი...
ტომი — ჩემი რომ იყოს ამოვიღებდი.
ვილი — შენი რომ იყოს, მეც ასე მოვიქცეოდი

- რა უცნაურია, ყოველთვის, როცა თქვენთან ვცაგავ, ყველა ცაგვა მოკლე მეწვენება.
- ასეც არის, ორკენტრის დირიჟორი ჩემი საქმროა.

თარგმანი **ვ. გილაშვილი**

ესპანური იუმორი, მოხერხებული ქურდი

— ბოდიში, სინიორ. პოლიციელს არ ჩამოუვლია?

- არა, არაფერ შემინიშნავს.
- ძალიან კარგი ჩამაბარეთ საფულე.

პირველად და უკანასკნელად

პატარა ბიჭი ცხენიდან გადამოვარდა. მასთან მიიჭრა გლეხი და ხელში აიყვანა.

- პირველად იკვეთი ცხენზე?
- არა, ბატონო. უკანასკნელად.

თარგმანი **გ. გომეზი**

ურანული იუმორი

ფრანგმა მწერალმა თავის მეზობელ ინგლისელს მოახლე გაუგზავნა და წიგნი თხოვა. ინგლისელმა მოახლეს ასე უპასუხა: — გადაეცით თქვენს პატრონს რომ მე წესად ასე მაქვს, არავის არ ვათხოვო წიგნი. თუ ძალიან სჭირდება ეს წიგნი, შეუძლია მობრძანდეს ჩემს ბინაში და რამდენ ხანსაც ენებოს, იკითხოს.

რამდენიმე დღის შემდეგ ინგლისელმა მწერალს გაუგზავნა მოახლე და თხოვა: — ცოტა ხნით თქვენი ბაღის სარწყული მათხოვეთო.

- გადაეცით თქვენს პატრონს, რომ ასე მაქვს წესად, არავის არ ვათხოვო ჩემი ბაღის სარწყული, მაგრამ, თუ თქვენს ბატონს ძალიან სწადია ყვავილების მორწყვა, შეუძლია მოვიდეს ჩემს ბაღში და რამდენიც მოესურვება, რწყას ჩემი ბაღის ყვავილები. — უპასუხა მწერალმა.

თარგმანი **თ. ფურცხვანიძე**

თურქული იუმორი

მიცვალაზღვრა ხმას არ იღებენ

სოფლის ექიმს თავი რომ გამოეჩინა, მოედანზე შეკრებილ ხალხს ასე მიმართა:

- ბატონებო, აგერ 25 წელია, რაც ამ წამალს ვყიდ და დღემდე არავის უჩივლია. ახა მოთხარით რას ნიშნავს ეს?
- მიცვალაზღვრა ხმას არ იღებენ. — უპასუხა გლეხმა.

თარგმანი: **ბ. იმედაშვილი, ჯ. კატაბაია**

გერმანული იუმორი

დამიანი ცხოველის ტყავს იყენებს. ნორცს ქამს, ქველებს რას უშვრება, მაქს?

- თუფშის კიდეზე აწყობს, მასწავლებელი.

კარლ, მიჩვენე რუკაზე ამერიკა. კარლმა თითო დაადო. შემდეგ მასწავლებელმა კლასს შეკითხვით მიმართა: — ეინ აღმოაჩინა ამერიკა?

- კარლმა. — უპასუხეს ერთხმად.

მგზავრი ფოსტის სადგურში ორცხენიანი ეტლით მივიდა. დაღლილი ცხენები უნდა შეეცვალა.


- აქედან სამი ცხენი დატვირდებთ, რადგან აღმართია და სამ საათში დანიშნულ ადგილზე იქნებით. — შესთავაზა ფოსტის მოხელემ.
- ოთხი ცხენით რამდენ ხანს მივალწვე და ნიშნულ ადგილს?
- ორ საათში.
- ექვსი ცხენით?
- ერთ საათში.
- მაშ რვა ცხენს ვიჭირებ და მგზავრობა სულაც არ დამჭირდება.

თარგმანი **ზ. ამირანაშვილი**

- რას ფიქრობდით, პარაშუტის ქოლგა რომ არ იხსნებოდა?
- ენატრობდი წვიმა არ წამოსულიყო...

- ნეტავი სახიფათოა ნილოსში ბანაობა? ნიანგები ხომ არ ესხმიან ადამიანებს?
- თ, არა, ნიანგები ღირმოცულები არ არიან. პირიქით, სამ თვეს სძლებენ უჭმელად.
- ესე იგი, ნილოსში თავისუფლად შეიძლება ბანაობა.
- რა თქმა უნდა. მხოლოდ იმ ნიანგის ახლოს კი არა, რომელსაც სამი თვეა არაფერი უჭმია.

თარგმანი **დ. კოკაია**



უბეჭდო ხუმრობა ნახ ჯ. ლოლუასი

რედაქტორი — ნიკო შველიძე. სარედაქციო კოლეგია: ა. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ბ. კვლიაშვილი, ნ. მაღალაშვილი, მ. ქარჩავა, თ. კელიძე.

საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49.

გამომც. № 24. ნელმოწ. დასაბ. 11/XII-1959 წ. ქად. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ. ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობითი ფორმათა რაოდენობა 1, პოლიგრაფიკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. ავტორებს ხელნაწერები არ უბრუნდებათ. შევ. № 1524. უფ. 08122. ტირ. 40.000.

